პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ЛЕЛО

№ 164 (4158)

1970 წ. 22 აგვისტო, შაბათი. ფასი 3 კაპ.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა ეროვნული ბიბლიოთეკა

სსკ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

საგზაურები განაწილდა

მოსკოვი, 20 აგვისტო (ტელეფონით). სსრ კავშირის უძლიერეს მოცურავეთა შეჯიბრების მეორე დღემ დაასახელა ევროპის ჩემპიონატში მონაწილე სპორტსმენები. საბჭოთა ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა კ. ინიასევსკიმ ასპარეზობის დამთავრებისთანავე გამოაცხადა იმ მოცურავეთა გვარები, რომლებიც ბარსელონაში იასპარეზებენ. სსრ კავშირის ნაკრებში ჩაირიცხა 36 სპორტსმენი, რომელთაგან ორი საქართველოდანაა და ორივე გულაღმა მოცურავე. გუნდში ბევრია ახალბედა, მაგრამ ვეტერანებიც ბლომად არიან. ასე რომ, კონტინენტის ჩემპიონატი მათი ერთგვარი დუელიც იქნება.

ნაკრების ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა 16 სპორტსმენი ტურინში გაგზავნოს მსოფლიო უნივერსიადაში სასასპარეზოდ. დანარჩენი მოცურავენი კი წვრთნას მოსკოვში გაივლიან.

ლუჟნიკის ცენტრალური სტადიონის აუზში ასპარეზობის მეორე დღეს კვლავ იმარჯვა თბილისელმა თ. ლეკვეიშვილმა, ამჯერად 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში — 1.08,8. ეს 0,2 წამით უკეთესი შედეგია, ვიდრე მას ლვოვში სსრ კავშირის ჩემპიონობის მოპოვებისას ჰქონდა.

100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვა მოიგო ქვეყნის ჩემპიონმა, 15 წლის ტ. ზოლოტნიცკაიამ (ნოვოსიბირსკი) — 1.03,0. ამავე დისტანციაზე ბრასით ცურვაში გ. პროზუმენშჩიკოვა-სტეპანოვა (მოსკოვი) 0,1 წამით ჩამორჩა ა. გრებენიკოვას — 1.16,4.

100 მეტრზე ბატერფლაით პირველობა წილად ხვდა ვ. ტუტაევას (მოსკოვი) — 1.08,2, 400 მეტრზე კომპლექსური ცურვა კი ტ. ობიედკოვამ (სმოლენსკი) მოიგო — 5.31,0.

ვაჟებში განსაკუთრებით დაძაბული გამოდგა 100 მეტრზე თავისუფალი სტილით და ბრასით შეჯიბრებები. პირველ სახეობაში ლ. ილიჩოვმა (მოსკოვი) და გ. კულიკოვმა (ხაბაროვსკი) ერთნაირი შედეგი (54,0) აჩვენეს, პირველობა კი ქვეყნის ექვსგზის ჩემპიონს ილიჩოვს დარჩა. ბრასით ყველას აჯობა ნ. პანკინმა (მოსკოვი) — 1.07,3. თანაქალაქელი ვ. კოსინსკი მას 0,9 წამით ჩამორჩა.

სსრ კავშირის ჩემპიონები ვ. მიხაილოვი (პოლტავა) და ი. მორჩუკოვი (სმოლენსკი) ნაკრების მიღმა დარჩნენ.

200 მეტრზე გულაღმა ცურვა მოიგო ქვეყნის ჩემპიონმა გ. დავიდოვმა (მოსკოვი) — 2.14,8. ისე, როგორც ლვოვში საკავშირო პირველობის დროს, ბათუმელი ვ. კრასკო აქაც II ადგილზე გავიდა და ბარსელონის საგზური ჩაიდო ჯიბეში. კრასკოსთვის ეს პირველი დიდი საერთაშორისო ასპარეზობა იქნება.

აი, ვინ გამოვა ევროპის ჩემპიონატში: ქალები: ტ. ასტაშკინა, ნ. ბისტროვა, ვ. ბურკაუსკაიტე, ვ. ვასკოვიჩი, ნ. ვიშნიაკოვა, ა. გრებენიკოვა, ტ. ზოლოტნიცკაია, ნ. კაბანოვა, ლ. კომაროვა, ო. კუდაშოვა, თ. ლეკვეიშვილი, ნ. ლიტვინოვა, ლ. მილენინა, ნ. პეტროვა, ლ. პორუბაიკო, გ. სტეპანოვა, ი. ტერეშინა, ვ. ტუტაევა; ვაჟები. ვ. აბოიმოვი, ა. ანარბაევი, ვ. ბურე, გ. დავიდოვი, ა. დუნაევი, ვ. კოსინსკი, ვ. კრავჩენკო, ს. კონოვი, ვ. კრასკო, გ. კულიკოვი, ლ. ილიჩოვი, ვ. მაზანოვი, ვ. ნემშილოვი, ა. სამსონოვი, მ. სუსარევი, ნ. პანკინი, ი. პოდობრიეორა, ვ. შარიგინი.

ცურვა



მსოფლიო ჩემპიონები

ინგლისის ქალაქ ლესტერის მიდამოებში ამას წინათ გამართულ 100-კილომეტრიან გუნდურ საგზატკეცილო რბოლაში მსოფლიო ჩემპიონის წოდება მოიხვეჭა საბჭოთა კვარტეტმა, რომელმაც ეს მანძილი 2 საათში, 12 წუთსა და 18 წამში დაფარა.

სურათზე (მარცხნიდან): გამარჯვებულები ვ. იარდი (ჩეხოსლოვაკია), ბ. შუხოვი (ნალჩიკი), ვ. ლიხაჩოვი (გორკი), ვ. სოკოლოვი (ომსკი).

საკდესის ტელეფოტო.

„ვერცხლის გოგონა“ გზას დაადგა

„ვერცხლის გოგონამ“ — თანამედროვე იუგოსლავიელი მოქანდაკის ს. სანდიჩის სტატუეტმა — ევროპის კონტინენტის მძლეოსანქალთა უძლიერესი გუნდის პრიზმა თავისი ჩვეული ადგილსამყოფელი დატოვა ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის სპორტულ მუზეუმში: 20 აგვისტოს ბუდაპეშტის გზას დაადგა თავის ახლანდელ მფლობელებთან „კომპანიაში“.

საბჭოთა მძლეოსანმა ქალებმა უკვე ორჯერ — 1965 და 1967 წლებში დაისაკუთრეს ეს საპატიო ჯილდო. 22 აგვისტოს ბუდაპეშტის „ნეპშტადიონზე“ მათ თავიანთი ტიტულის დაცვისთვის ბრძოლა მოუწევთ — მეტოქეებად, როგორც ამ სამი წლის წინათ კიევში — დიდი ბრიტანეთის, გდრ-ის, უნგრეთის, პოლონეთისა და გფრ-ის ნაკრები კოლექტივები ეყოლებათ.

საბჭოთა ქალების გამარჯვების შემთხვევაში „ვერცხლის გოგონა“ მუდმივად გაეწერება ლუჟნიკში და იაიფ-ის ევროპულ კომიტეტს ახალ პრიზზე მოუწევს ფიქრი.

საბჭოთა ნაკრებში 20-ზე მეტი მძლეოსანია. ევროპის თასის ფინალში მხოლოდ ერთი სპორტსმენი — 27 წლის ვ. პოპკოვა (ჩელიაბინსკი) იასპარეზებს მესამედ. მაგრამ ახლა იგი 100 და 200 მეტრზე კი არ გაიქცევა, არამედ 400 მეტრზე. ბუდაპეშტელები იხილავენ ევროპის ჩემპიონებს — ლენინგრადელებს თ. დანილოვას (ბადრო), ნ. ჩიუოვას (ბირთვი) და სხვ.

შეჯიბრების პროგრამაში 18 სახეობაა. ყოველი გუნდიდან თითოეულში მხოლოდ ერთი სპორტსმენი გამოდის. სწორედ ეს მეტისმეტ სიმწვავეს მატებს ასპარეზობას.

თასების 8 პრეტენდენტი

კალინინგრადი, 20 აგვისტო. აქ დამთავრდა სსრ კავშირის თასის გათამაშების მეოთხე ციკლი, რომლის ცენტრალური მოვლენაც საერთაშორისო ოსტატების მ. რანიკუსა (ტალინი) და ო. ანდრეევას (ხარკოვი) ოთხპარტიიანი „მიკრომატჩი“ იყო. დამაჯერებლად გაიმარჯვა ესტონელმა — 3:1. ასეთივე ანგარიშით სძლია ოდესელმა პირველთანრიგოსანმა ნ. გორდონმა ომსკელ საერთაშორისო ოსტატ ა. კისლოვას. გორდონმა სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა.

თბილისელი პირველთანრიგოსანი ნ. ჩიქობავა დამარცხდა (1:3) მოსკოველ ოსტატთან ნ. მედიანიკოვასთან. მეოთხე მატჩში მოსკოველმა ტ. ლემაჩკომ აჯობა მინსკელ თ. გოლოვეის.

ამრიგად, რანიკუ, გორდონი, მედიანიკოვა და ლემაჩკო ოქტომბრის პირველ ნახევარში მოსკოვში გათამაშების დასკვნით ციკლში შეხვდებიან ერთმანეთს და გამარჯვებულს თასიც გადაეცემა.

• • •

დნეპროპეტროვსკი, 20 აგვისტო. ჰადრაკში სსრ კავშირის თასის გათამაშებაში დიდოსტატმა დ. ბრონშტეინმა (მოსკოვი) მოუგო ალმაათელ ოსტატ ბ. კატალიმოვს. ვ. სავონ (ხარკოვი) — მ. ტალის (თბილისი), ა. ლუტიკოვ (ტირასპოლი) — ვ. ალბურტის (ოდესა), ვ. ფაიბისოვიჩ (ლენინგრადი) — ა. შმიტის (რიგა) შეხვედრები ყაიმით დამთავრდა.

მოსკოველმა დიდოსტატმა კატალიმოვთან შეხვედრაში ეტლების ენდშპილში მაყურებლები ბრწყინვალე ტექნიკით გაახარა. მისი გონებამახვილური გეგმის გვირგვინი იყო მეფის მამაცური გადასვლა მეტოქის ბანაკში. გამოუვალი მატერიალური დანაკლისის გამო კატალიმოვმა 35-ე სვლაზე თავი დამარცხებულად ცნო.

ახლა დნეპროპეტროვსკის ეტაპის ბოლო პარტიის შედეგების მიუხედავად მხოლოდ ბრონშტეინმა გაინაღდა მეოთხე წრეში თამაშის უფლება. მას უკვე 3 ქულა აქვს და მედლების პრეტენდენტთა რიცხვშია. დანარჩენ სამ მატჩში ჯერჯერობით თანაბრობაა: თითოეულ მეტოქეს ქულანახევარი აქვს.

ვინ იქნება კიდევ სამი საგზურის მფლობელი, ვინ მოიხვეჭს საპატიო ჯილდოსთვის ბრძოლის უფლებას? ამ კითხვაზე პასუხს გაგვცემს დღევანდელი დასკვნითი ტური. ყველაზე რთული ამოცანის წინაშე დგას ტალი. მისი ახალგაზრდა მეტოქე — საერთაშორისო ოსტატი სავონი ტოლს არ უდებს მსოფლიოს ექს-ჩემპიონს მრავალვარიანტიან კომბინაციურ გართულებებში.



◆ **დნეპროპეტროვსკი, 21 აგვისტო.** აქ გამოვლინდნენ დანარჩენი 3 საგზურის მფლობელნიც: სავონი, ალბურტი და შმიტი. ტალთან გადამწყვეტ პარტიაში სავონმა ბრწყინვალედ ითამაშა და თამაშის განახლების შემდეგ მე-60 სვლაზე გაიმარჯვა.

ჭადრაკი

● **კასკაისი** (პორტუგალია), 19 აგვისტო. აქ დაიწყო „ფინის“ კლასში აფროსანთა ტრადიციული შეჯიბრება „ოქროს თასზე“. ესაა მსოფლიოს არაოფიციალური ჩემპიონატი, რომელშიც საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებიც მონაწილეობენ: კიეველი ვ. დირდირა და მოსკოველი ვ. პოტაპოვი. გუშინდლამდე ორი რბოლა უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ ძლიერი ნისლის გამო მხოლოდ ერთი გაიმართა. გაიმარჯვა ამერიკელმა რ. ანდრემ.

● **ათენი, 19 აგვისტო.** რუმინეთის ნაკრებთან გამარჯვებით (6:3) იუგოსლავიელმა წყალპურთელებმა I ადგილი გაინაღდეს ბალკანეთის ქვეყნების აქ გამართულ ჩემპიონატში. ოლიმპიური ჩემპიონების შემადგენლობაში გამოდიოდა მეხიკოს ტურნირის 4 მონაწილე — სტეპანჩიჩი, ბონაჩიუ, სანდიჩი და იანკოვიჩი.

● **სენტ-კატარინსი, 19 აგვისტო.** კანადის ამ ქალაქში გამოცხადდა, რომ აკადემიურ ნიჩბოსანთა მომავალ მსოფლიო ჩემპიონატში (3-6 სექტემბერი), როგორც ჩანს, 33 ქვეყნის 600-ზე მეტი სპორტსმენი ისპარეზებს. ყველა კლასის ნავებით გამოვლენ კანადის, ამერიკის შეერთებული შტატების, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ჰოლანდიის, იტალიის, ინგლისისა და სსრ კავშირის წარმომადგენლები. როგორც ცნობილია, აკადემიურ ნიჩბოსნობაში მსოფლიო ჩემპიონატი ოთხ წელიწადში ერთხელ ტარდება. წლევანდელი პირველობა, რომელიც ონტარიოს ტბაზე გაიმართება, ყველაზე ხალხმრავალი უნდა იყოს. კანადაში, მაგალითად, ჩამოსვლას აპირებენ ავსტრალიის, იაპონიის, არგენტინის, ბრაზილიის, მექსიკის, გვატემალისა და პერუს გუნდებიც.

● **ბერლინი, 19 აგვისტო.** მოსკოვის „დინამოს“ ჰოკეისტებმა ყველას აჯობეს აქ გამართულ საერთაშორისო ტურნირში, რომელშიც აგრეთვე მონაწილეობდნენ გდრ-ისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდები. შეჯიბრების ბოლო მატჩში საბჭოთა სპორტსმენებმა სძლიეს ჩეხოსლოვაკიის ჩემპიონს „დუკლას“ — 5:2.

● **ვორონეჟი, 20 აგვისტო.** აქ დამთავრდა ფრენბურთელ ქალიშვილთა საერთაშორისო ტურნირი „მეგობრობის თასზე“. უძლიერესის სახელი მოიხვეჭა საბჭოთა ნაკრებმა. II ადგილზე გავიდნენ გდრ-ის წარმომადგენლები, III — რუმინელი სპორტსმენები.

ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲑᲘ

● **ვოროშილოვგრადი, 20 აგვისტო. „მეგობრობის თასზე“ ახალგაზრდა ფრენბურთელ ვაჟთა აქ დამთავრებულ საერთაშორისო-ტურნირში ყველას აჯობეს სსრ კავშირის წარმომადგენლებმა. II ადგილზე: ბულგარეთის ნაკრები, III — პოლონეთის გუნდი.**

● **ტულა, 20 აგვისტო.** საბჭოთა კავშირის 34-ე ჩემპიონატის სტარტს წვიმა დაესწრო, რის გამოც 3 კილომეტრზე გამოდევნებით ინდივიდუალურ ქალთა რბოლის 15 სერიიდან მხოლოდ 12 გაიმართა. ჯერჯერობით საუკეთესო დრო (4.11,0) მსოფლიო რეკორდსმენს რ. ობოდოვსკაიას (ხარკოვი) აქვს. ადგილობრივ ტრეკზე თითქმის 140 ველოსიპედისტი შეეცილება ერთმანეთს ჩემპიონის ოქროს მედლებს.

● **კიევი, 20 აგვისტო.** აქ დიდი ინტერესი გამოიწვია ამერიკის შეერთებული შტატების კალათბურთელ ვაჟთა ოლიმპიური გუნდისა და სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრების შეხვედრამ. გაიმარჯვეს ამერიკელებმა — 71:53.

● **კალინინგრადი, 20 აგვისტო.** აქ ხუთ დღეს გრძელდებოდა იუნიორთა საკავშირო ჩემპიონატი თანამედროვე ხუთჭიდში. პირად ჩათვლაში გაიმარჯვა მოსკოველმა არმიელმა, 20 წლის ბ. მოსოლოვმა — 5041 ქულა. მას 69 ქულით ჩამორჩა თანაგუნდელი პ. გორლოვი. III ადგილზეა სპარტაკელი ნ. კისელიოვი — 4903 ქულა. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს მოსკოვის სამხედრო ოლქის ხუთჭიდელებმა. II ადგილზე არიან ყაზახეთის დინამოელები.

გასაკეთებელი ბევრია

საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტში ჩატარდა თათბირი საწარმო-დაწესებულებებში, სკოლებსა და მოსახლეობაში ფიზკულტურულ-სპორტული და თავდაცვით-მასობრივი მუშაობის მდგომარეობის საკითხებზე.

თათბირმა მოისმინა ზუგდიდის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივნის ა. ქირიას ინფორმაცია.

აღინიშნა, რომ შექმნილია 88 კოლექტივი, რომლებშიც 17.520 ფიზკულტურელია გაერთიანებული. ნაყოფიერად მუშაობენ სექციები. აქვთ კეთილმოწყობილი სპორტული მოედნები და საცურაო აუზები ჯვარზეში, საბერიოში, გუდავაში, ერისწყალსა და რეჩხში. ეხგურქალალდკომბინატის მუშა-მოსამსახურეების განყარგულებაში კარგი სპორტული კომპლექსია.

მასობრივ-გამჯანსაღებელ და ფიზკულტურულ-სპორტულ ღონისძიებებს რეგულარულად ატარებენ ბავშვთა და ახალგაზრდობის სპორტული სკოლები, „განთიადისა“ და „სპარტაკის“ საქალაქო საბჭოები, სისტემატურად ეწყობა ღირსშესანიშნავი თარიღებისადმი მიძღვნილი სპარტაკიადები, შეჯიბრებები, ტურისტული ლაშქრობები, ექსკურსიები, საჩვენებელი გამოსვლები.

ამჟამად ფიზკულტურულ კოლექტივებში მიმდინარეობს სპორტული და მასობრივი თავდაცვითი მუშაობის საკავშირო დათვალიერება და სამხედრო-ტექნიკურ მომზადებაში ახალგაზრდობის გამოცდა.

თათბირზე აღინიშნა ნაკლოვანებანიც. საწარმო-დაწესებულებებში სუსტად ინერგება საწარმოო ტანვარჯიში, ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტი ჯეროვან ყურადღებას არ უთმობს საგაგიტაციო მუშაობას, ლექციურ პროპაგანდას.

უგულებელყოფილია თვალსაჩინოება: ქალაქში ვერსად ნახავთ სპორტულ ვიტრინებს.

თათბირზე გამოვიდნენ გ. ლოგუა (ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე), გ. მიქავა (ენგურჰესის მშენებლობის გაერთიანებული პროფკავშირული ორგანიზაციის თავმჯდომარე), კ. ბარამია (საზოგადოება „ცოდნის“ საქალაქო ორგანიზაციის გამგეობის პასუხისმგებელი მდივანი), ა თოლორაია (პარტიის საქალაქო კომიტეტის პოლიტკაბინეტის გამგე).

თათბირმა დასახა პრაქტიკული ღონისძიება.

ბ. ალუბგარია.
(ჩვენი კორ.).

ზუგდიდი.

ერეოვნული ბიბლიოთეკა

20 წ

◆ **ლაჰტი**, 21 აგვისტო. შუბის ტყორცნაში წლევანდელი სეზონის საუკეთესო შედეგი მსოფლიოში გაიმეორა ტოკიოს ოლიმპიადის ჩემპიონმა, ფინელმა პ. ნევალამ — 81,44 მ. ახლა მას IV ადგილი უჭირავს მძლეოსნობის ამ სახეობის ისტორიაში.

◆ **მალმე**, 21 აგვისტო. შვედმა რ. ბრუხმა ამ სეზონში მეორედ აჯობა ბადროს ტყორცნაში მსოფლიო რეკორდმენს, ამერიკელ ჯ. სილვესტრს. აქ გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში ბრუხმა ბადრო 62,42 მეტრზე ტყორცნა. სილვესტრს 40 სანტიმეტრით ჯარესი შედეგი ჰქონდა.

რეკორდები

ლოს-ანჯელესი, 21 აგვისტო. აშშ-ს მოცურავეებმა თავიანთი ქვეყნის ჩემპიონატში 3 მსოფლიო რეკორდი დაამყარეს. 17 წლის ჯონ კინსელამ 400 მ თავისუფალი სტილით 4 წუთსა და 2,81 წამში დაფარა, რაც 1,19 წამით უკეთესია ჰანს ფასნაჰტის (გფრ) უწინდელ მიღწევაზე. ამ მანძილზე ამავე სტილით ცურვაში დები მაიერმა — მეხიკოს ოლიმპიადის ოქროს 3 მედლის მფლობელმა — 0,16 წამით გაუმჯობესა თავისივე მსოფლიო მიღწევა. ახალი რეკორდია 4.24,34.

18 წლის ელის ჯონსმა მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი რეკორდი დაამხო — 100 მ ბატერფლაით 1 წუთსა და 4,11 წამში გაცურა. ძველი რეკორდი, რომელიც ახალზე 0,39 წამით უარესია, 1965 წელს დაამყარა ჰოლანდიელმა ადა კოკმა.

პოზნიაკი ხელთათმანებს იცვამს

თითქმის წელიწადია კრივის მოყვარულებს არ უნახავთ რინგზე ევროპისა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი დ. პოზნიაკი. იმასაც კი ამბობდნენ, რომ საბჭოთა მოკრივეების ნაკრები გუნდის კაპიტანი სპორტს დაემშვიდობა და ხელთათმანები ლურსმანზე ჩამოკიდა. ამიტომ, როცა ახალი ამბების საagენტოს კორესპონდენტი ახლახან ვილნიუსში შეხვდა პოზნიაკს, უპირველეს ყოვლისა ჰკითხა, თუ რამდენად სწორია ეს ნალაპარაკევი.

— რუმინეთში 1969 წლის ევროპის ჩემპიონატის შემდეგ, — თქვა პოზნიაკმა, — მე მართლაც იშვიათი სტუმარი ვიყავი კრივის დარბაზისა. გადაწყვეტილ სწავლისთვის დამეთმო მეტი ყურადღება (ვილნიუსის პედაგოგიურ ინსტიტუტში ისტორიის ფაკულტეტზე ვსწავლობ). დაწესებულ ვადებში ჩავაბარე ყველა ჩათვლა და გამოცდა, პრაქტიკაც გავიარე და ახლა აქტიური საწვრთნელი ვარჯიშის განახლებას ადარაფერი უდგას წინ. თუმცა მომქანცველი ევროპული პირველობის შემდეგ სერიოზულად დავიწყე ფიქრი სპორტიდან წასვლაზე. მე უკვე 30 წლისა ვარ, ათობით უძნელესი ბრძოლა გადამხდომია, თანაც, ნატკენი ხელი ხშირად მაწუხებს. ერთი სიტყვით, ფორმალურად გადადგომის ყველა საფუძველი მქონდა.

● **რამ გაიძულათ გადაწყვეტილების შეცვლა?**

— ალბათ, ჩვენ ყველანი — სპორტსმენები — ასეთები ვართ. ვბუზღუნებთ, ვეჩივით დაღლასა და სიძნელეებს. მაგრამ თავდება სეზონი და დასვენების შემდეგ კვლავ სპორტისკენ, მწვრთნელისკენ, მეგობრებისა და მეტოქეებისკენ მივიწევს გული. და ყველაფერი თავიდან იწყება. მეც ასე მომივიდა.

● **მზად ხართ უკვე ახლა მიიღოთ შეჯიბრებაში მონაწილეობა?**

— ალბათ, არა. თავს შესანიშნავად ვგრძნობ, წონა სრულიად არ მომიმატებია, მაგრამ სპეციალურ წვრთნას მხოლოდ ახლა შევუდექი და ხელთათმანებს საკმაოდ გადავეჩვივ. ამიტომაც არ ვჩქარობ რინგზე გამოსვლას. მითუმეტეს, რომ ჩემი მეტოქეების რიცხვში ისეთი ნიჭიერი სპორტსმენები არიან, როგორიცაა კალინინგრადელი ვ. ბაბარიკა, კაუნასელი გ. ბინგიალისი, ვოლგოგრადელი ი. ნესტეროვი.

● **როგორი ტენდენციები ახასიათებს, თქვენი აზრით, თანამედროვე სამოყვარულო კრივს?**

— ამჟამად სულ უფრო ამკარად იგრძნობა გადახრა სიმკაცრის მიმართულებით. ადრე ბრძოლის ძალისმიერი მანერის მომხრეები ალბათ მხოლოდ ამერიკელები და იტალიელები იყვნენ. მაგრამ უკვე მეხიკოს ოლიმპიადაში ასეთი ხელწერა ახასიათებდათ აფრიკის, კუბის, მექსიკის მოკრივეებს, ხოლო ევროპის ჩემპიონატში (რუმინეთი) ახალი მიმართულების მომხრე ჩვენი კონტინენტის ბევრი სპორტსმენიც აღმოჩნდა. „მუშტებით ფარიკაობის“ ტრადიციული თაყვანისმცემელი ინგლისელებიც კი არ ჩამორჩნენ ნათ.

● **თქვენ უარყოფითად უყურებთ ამას?**

— კაცმა რომ თქვას, არა. ყოველ „სკოლას“, ყოველ მიმართულებას არსებობის უფლება აქვს. მთელი საქმე შემსრულებლებშია. მკაცრი კრივის მომხრეთა შორის ცოტა როდია ჩინებული ოსტატი. მაგრამ ზოგჯერ რინგზე შეიძლება ნახო ნაკლებად ნიჭიერი, უტექნიკო მოჩხუბრები, რომელთაც მხოლოდ ისღა შეუძლიათ, რომ ურტყან ერთმანეთს და დარტყმებს გაუძლონ. თუ კი ასეთი სტილი დამკვიდრდება, კრივი ძალიან წაგებს.

● **ვინ იყო თქვენი იდეალი სპორტში?**

— მე არ შემიძლია რომელიმე კონკრეტული სპორტსმენი დავასახელო. იდეალური მოკრივის სახე მრავალი ოსტატის საუკეთესო თვისებებისგან იქმნება.

ბუნებრივია, ჩემპიონებს მე არა შარტო აღტაცებაში მოვყავდი, არამედ ვცდილობდი რაღაც გადმომეღო მათგან. შატკოვი ჩემთვის იყო და დარჩა კიდეც იმის ნიმუშად, თუ როგორაა საჭირო შენიღბული მანოკაუტირებელი დარტყმების მიყენება. ენგიბარიანს აღტაცებაში მოვყავდი შეუღწევადი დაცვით, ტაბულისს კი ფეხების გასაოცარი მუშაობით.

● **ვინ იყო თქვენი უველაზე საბიფათო მეტოქე?**

— რასაკვირველია, ჭეიმძიმეწონიანი პოლონელი პეტშიკოვსკი. ეს მეტად თავისებური ოსტატი იყო. ევროპის ჩემპიონატში 1965 წელს, რომელიც მოსკოვში გაიმართა, მე ჭარბი დამიშავდა და ჩვენი ბრძოლა ვადამდე დასრულდა. კიდევ ერთხელ შეეხვდი პეტშიკოვსკის საერთაშორისო ტურნირში ლოძში. აქ, მე მეგონა, თანაბარ ბრძოლაში მან მაჯობა. ამის შემდეგ დაჟინებით დავიწყე რვეანშისთვის მზადება: ვსწავლობდი პეტშიკოვსკის ბრძოლების კინოფირებს, ვვარჯიშობდი ისეთ სპარინგ-პარტნიორებთან, რომლებიც მას წაგავდნენ. მაგრამ ჩვენ ადარ მოგვიწია რინგზე შეხვედრამ: პეტშიკოვსკი სპორტიდან წავიდა.

● **როგორ ატარებთ თავისუფალ დროს?**

— ხშირად დავდივარ საავტომობილო რბოლებზე. მე თვითონ ხომ თავგაზოდებული ფძოლი ვარ. მიყვარს მეგობრებთან ერთად სათევზაოდ, სანადირად სიარული, ან უბრალოდ ტყეში ხეტიალი.

● **როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი მომავალი?**

— მინდა, ბუნებრივია, ისტორიკოსი გავხდე და, ამავე დროს, სპორტთან კავშირი არ დავკარგო. ჯერჯერობით, როგორც მგონია, სოლომონისებურ გადაწყვეტილებას მივაგენი. როცა ერთი წლის წინ საკურსო ნაშრომის წერის დრო დამიდგა, უძველესი დროიდან ოლიმპიური თამაშების ისტორიის შესწავლას მოვკიდე ხელი. მწვრთნელადაც ვფიქრობ ძალიან მოსინჯვას.

მედლები — თბილისის ჩემპიონატის პრიზიორებს

მოსკოვის სპორტული ნიშნების ექსპერიმენტულმა ჭარხანამ დაამზადა ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები თბილისის ჩემპიონატისა და ქალაქის V სპარტაკიადის (1971 წ.) პრიზიორთათვის.

მსიფური მედლები, რომელთა დიამეტრი 75 მილიმეტრია, მორაკის შემწეობით მაგრდება წითელ (I ადგილი), ლურჯ (II) და მწვანე (III) ფერის ლენტებზე.

მედლების ესკიზების ავტორია მაუდ-კამოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ ფიზკულტურის უფროსი ინსტრუქტორი ბ. კოვალიოვი.

სურათზე: ახალი მედლები.

ჩვენი პოსტი

მაღლობის გრძნობით

30 სექტემბერს ბრაზილიის ფეხბურთელთა ნაკრები კვლავ გამოვა სტადიონზე. მას შემდეგ, რაც მსოფლიო ჩემპიონის სახელი მოიხვეჭა, ეს გუნდი თავის პირველ მატჩს რიო-დე-ჟანეიროს „მარაკანის“ სტადიონზე მექსიკის ნაკრებთან გამართავს. ბრაზილიელებმა წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონატის ორგანიზატორები მოიწვიეს იმ გულთბილობის გამო, რაც მექსიკელმა გულშემატკივრებმა მათ 1970 წლის მსოფლიო პირველობის დღეებში გაუწიეს.

შვილი მოენატრა

ავსტრალიელმა ვაჭარმა, 26 წლის ჯონ კორიმ ამ დღეებში ლამანშის გადაცურვის რეკორდზე მიიტანა იერიში. ერთხელ კორიმ უკვე გადალახა ეს სრუტე, მაგრამ ამჯერად წყალში ოთხსაათნახევარი დაჰყო და მერე უეცრად მიმართა მეგობრებს, რომლებიც ნავით ახლდნენ მოცურავეს: „მე ვბრუნდები. შინ მინდა მომინდა — ბიჭი მომენატრა“.

მეგობრები ამაოდ ეკამათებოდნენ კორის ამ ხარეკორდო გაცურვაზე უარი არ ეთქვა: გზის დანარჩენი ნაწილი მან ნავში „გაიარა“, ნაპირზე ფეხი შედგა თუ არა, კორი სიდნეიში მიმავალი თვითმფრინავის ბილეთის ასაღებად გაექანა.

დედნებს მოითხოვენ

„ჩვენ მხოლოდ თასების დედნებს ჩავიბარებთ“, — განუცხადეს გაზეთ „ვეჩერნაია მოსკვა“-ს ფეხბურთელთა ნაკრების გუნდს დასავლეთ აფრიკის მაგიდის ჩოგბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებმა. შარშან განელმა სპორტსმენებმა ამ ფედერაციის ტურნირში ოთხი უმაღლესი პრიზი მოიხვეჭეს, ახლა კი მათს ნაცვლად (როგორც თვითონ ამბობენ, თასები სადღაც დაიკარგა) მხოლოდ ამ ჯილდოების ასლები ჩამოიტანეს.



სილვესტრის რევანში

ევროპის სტადიონებზე გრძელდება ამერიკელ მძლეოსანთა გამოსვლები. გუშინწინ ისინი ძალას ცდიდნენ მალმეს (შვეცია) გამართულ საერთაშორისო ასპარეზობაში, რომელშიც მონაწილეობდნენ, აგრეთვე, შვეციის, გდრ-ის, ფინეთის, დანიისა და სხვა ქვეყნების სპორტსმენები.

აქ გაგრძელდა მსოფლიოს უძლიერესი ბადროს მტყორცნელების — მსოფლიო რეკორდმენის ჯ. სილვესტრისა (აშშ) და ევროპის რეკორდსმენის რ. ბრუხის (შვეცია) დუელი. ამას წინათ ამ ორი გიგანტის ორთაბრძოლა ბრუხმა მოიგო, ახლა კი სილვესტრმა იმარჯვა (63,74 მ). ბრუხი მას 1,68 მეტრით ჩამორჩა.

ჭოკით ხტომაში სკანდინავიის ქვეყნების ახალი რეკორდით გაიმარჯვა მასპინძელმა ჩ. იშაქსონმა — 532 სმ.

ბირთვის კვრაში ამერიკელმა დ. დრეშერმა მხოლოდ 111 ადგილის დაკავება შეძლო, თანაც უსეირო შედეგით (16,89 მ). მას გდრ-ის ათლეტებმა უ. ბერგმა (19,46) და დ. პროლიუსმა (19,42) აჯობეს.

სპრინტერთა ტურნირი სსრ კავშირ — აშშ-ს გუნდების ამასწინანდელი მატჩის (ლენინგრადი) მონაწილემ ბ. ვოუნმა მოიგო — 10,4. შემდეგ მან 200 მეტრზეც იმარჯვა — 20,7. ლენინგრადში გამარჯვებულმა ბ. სკინერმა შუბი 81,53 მეტრზე ტყორცნა და 1 ადგილი დაიკავა. მათი თანამემამულეების გამარჯვებით დამთავრდა 110 მეტრზე თარჯრბენსა და სიმაღლეზე ხტომაში ასპარეზობა. თარჯრბენში ოლიმპიურმა ჩემპიონმა ვ. დავენპორტმა 13,6 აჩვენა, ბ. შეპარდმა კი 216 სმ სიმაღლე დაძლია. მან 2 სმ-ით აჯობა შვედ კ. ხელონსა და გ. დიურკოპს (გდრ).

1500 მეტრზე რბენაში ყველას აჯობა ფინელმა პ. ვასალამ — 3 41,2.

ქალთა შედეგებიდან აღსანიშნავია ა. დევისის გამარჯვება 100 მეტრზე რბენაში— 11,6, კ. ჰეპონდისა (ორივე— აშშ) 400 მეტრზე ასპარეზობაში — 53,2 და დანიელი ა. დამ-ოლსენისა 800 მეტრზე შეჯიბრებაში — 2.04,3,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის პირველობა

I ჯგუფი

20 აგვისტოს გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები.

თბილისს „ლოკომოტივს“ გასვლითი მატჩი ჰქონდა ივანოვოს „ტექსტილშჩიკთან“ და ფრეს დასჯერდა — 1:1.

დანარჩენ შეხვედრათა შედეგები ასეთია: „სტროიტელი“ (აქსაბადი) — „კარპატი“ (ლვოვი) 0:0, „ამირი“ (დუშანბე) — „მოლდოვა“ (კიშინიოვი) 1:1, „ალგა“ (ფრუნზე) — „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) 1:1, „კოლხეთი“ სოფეტოვი“ (კუიბიშევი) — „მეტალისტი“ (ხარკოვი) 0:1, „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „ყუბანი“ (კრასნოდარი) 1:2, ასკ (ხაბაროვსკი)—ასკ (კიევი) 2:1, „ყაირათი“ (ალმა-ათა)—„დაუგავა“ (რიგა) 4:1, „დინამო“ (ლენინგრადი) — „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) 3:0, „ვოლგარი“ (ასტრახანი) — „რუბინი“ (ყაზანი) 0:0.

II ჯგუფი

II ზონა

გამარჯვების მიუხედავად

გორი. ქალაქის სტადიონი. 20 აგვისტო.

„დილა“ (გორი) — „დრუჟბა“ (მაიკოპი) 1:0 (0:0).

„**დილა**“: ჩლაძე, კოზინი, კობიაშვილი, გლავადსკი, ნასარიძე, მარღიშვილი, ბეჟიშვილი, ეზუტბაია, პაპაიშვილი, ბუჯანაძე, მაღრაძე (კაპანაძე).

„**დრუჟბა**“: დარვინი, ეროპოვი, ლიტვინოვი, ჩორნი, ხმელევსკი, მახოკინი, მაიაშიროვი, კისელიოვი (ივანენკო), ნაზიმოვი (ფაბლევანიანი), პაბოშოვი, ზაბროდინი.

მსაჯი გ. ერმაკოვი (ლიპეცკი).

მაიკოპის „დრუჟბა“ ზონის ერთ-ერთ ძლიერ წარმომადგენლად ითვლება და გასათამაშების ცხრილში გორელებზე წინ დგას. ამიტომ, მასთან გამარჯვება მეტისმეტად საჭირო იყო „დილისთვის“ და რასან ეს 2 ქულა აღებულ იქნა, თითქოს გუნდის მიზანიც მიღწეულად შეიძლება ჩაითვალოს.

მაგრამ გათავდა თამაში და მაყურებელი უკმაყოფილო ტოვებდა სტადიონს. უკმაყოფილების მიზეზი გასხლდათ ის, რომ გორელმა ფეხბურთელებმა ძალზე უსისტემოდ, არაორგანიზებულად ჩაატარეს შეხვედრა. ვერ გაარკვევდით, ვინ რა სქემით თამაშობდა, რა ფუნქციებს ასრულებდა. გუნდი ტერიტორიულ უპირატესობას ფლობდა, მაგრამ მასპინძლები მეტოქის ნახევარშეც უთავბოლოდ, უსარგებლოდ ატარებდნენ ბურთს, ვერ პოულობდნენ ერთმანეთს და ხშირად უხეიროდ ახორციელებდნენ გადაცემებს.

ერთადერთი გოლი „დილამ“ გაიტანა 63-ე წუთზე. ერთ-ერთი შეტევისას სტუმართა რომელიღაც მცველმა ხელით ითამაშა და მაკაბა „დრუჟბის“ კარში დანიშნა 11-მეტრიანი. ეზუხბაიამ ზუსტად დაარტყა.

გ. გოზალიშვილი.

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).



ასე დამთავრდა: „ვოლგა“ (კალინინი) — „დინამო“ (სტავროპოლი) 2:1, „შინიკი“ (იაროსლავლი) — „ტორპედო“ (ტაგანროგი) 2:1, „სატურნი“ (რიბინსკი) — „სტალი“ (ვოლგოგრადი) 2:0, „ტრუდი“ (ვოროსეჟი)— „ფოლადი“ (სუმგაითი) 3:0, „მეტალურგი“ (ლიპეცკი) — „დინამო“ (მასჩაყალა) 2:1, „სალუტი“ (ბელგოროდი) — „დინამო“ (კიროვაბადი) 2:0, „შირაკი“ (ლენინაკანი)— „ავტომობილისტი“ (ნალჩიკი) 2:3, „ვოლგა“ (გორკი) — „დინამო“ (ბრიანსკი) 4:1, „ლოკომოტივი“ (კალუგა)— „მეტალურგი“ (ტულა) 1:1.

გერონტი ქიქოძის დაბადების 85 წლისთავის გამო

ადრეული სიჭაბუკიდანვე დაჰყვა მშობლიური ქვეყნის უსაზღვრო სიყვარული, მისი ჭაღარა ისტორიის პატივისცემა, უკეთესი მომავლისკენ სწრაფვა. ღრმად სჯეროდა, რომ უძველესი ცივილიზაციის შემქმნელი ქართველი ერი ისევე უკვდავია, როგორც მუხის ხე, რომლის „ფესვებს კლდე გაუხეთქიათ და ნაპრალებში მაცოცხლებელი წვენი უძებნიათ“.

ყოველივეს, რასაც მისი მადლიანი მარჯვენა მიჰკარებია, დიდი გონების, ღრმა ჭვრეტისა და სიხარბის ბეჭედი აზის. ეს მშვენივრად იგრძნობა მის თხზულებებში, რომელთა დახვეწილი წერის კულტურა მშვენივრად შეესატყვისება ღრმა შინაარსს.

გერონტი ქიქოძე მრავალმხრივი ადამიანი იყო და ამიტომაც მისი ინტერესების წრე უადრესად ფართო გახლდათ. იგი იმთავითვე ოცნებობდა სრულყოფილ ქართველ ადამიანზე, რომელშიც ჰარმონიულად იქნებოდა შერწყმული ინტელექტუალური და ფიზიკური სიძლიერე. როგორ მწარედ დასცინოდა დიდი ქართველი მოღვაწე ქუთაისის რეალური სასწავლებლის „გრძელკუდიან ფრაკებსა და ბრჭყვიალა ღილებიან სერთუკებში“ გამოწყობილ მასწავლებლებს, რომელთაც „არაფერი გეგებოდათ ქართველი ბავშვის ხასიათისა“. თავის მოგონებებში გერონტი ქიქოძე ასე იხსენებს იმ უ.ულმართ დროს. „ზოგიერთი მათგანი ჩვენ ნახევრად ბარბაროსებად გვთვლიდა, რომელთა გასწორთობად საუკეთესო ხაშუალებას ალგებრის ფორმულები და დერეკავნის ოდები წარმოადგენდნენ. სპორტი არ შედიოდა იმდროინდელი საშუალო სასწავლებლის პროგრამაში და ჩვენს ფიზიკურ განვითარებაზე არავინ ზრუნავდა. მშვიდობით ჭიდაობავ, ლელოს გატანავ, ხირბილსა და ცხენის ჭენებაში გაჯიბრებავ, უდარდელო ხეტიალო გაზაფხულის და შემოდგომის მზიან დღეებში!..“

არაერთი შინაარსიანი წერილი უძღვნა ფიზიკურ კულტურასა და სპორტს სახელოვანმა მოღვაწემ. ვფიქრობთ, ჩვენი გაზეთის მკითხველებისთვის საინტერესო იქნება გერონტი ქიქოძის 1916 წლით დათარიღებული წერილი „ფიზიკური აღზრდისათვის“.

ფიზიკური აღზრდისათვის

ყველა მკითხველმა შეიძლება არ იცოდეს, რას ნიშნავს სპარტანული აღზრდის იდეალები. ეს იმას ნიშნავს, რომ დაბადებისთანავე, სანამ ჯერ კიდევ ამ ქვეყნად გაჩენას გამოიტირებდე, საგანგებოდ დანიშნულ მოხელეებს უნდა „ჩვენო, რომელნიც ხრამში გადაგაგდებენ, თუ სრულიად ჯანმრთელი არა ხარ, თუ ჯანსაღი ხარ, უფლება გაქვს შვიდ წლამდე დედ-მამის ოჯახში იცხოვრო. ამ ხნიდან კი სახელმწიფოს განკარგულებაში გადახვალ, უბრალო კარავში მოგათავსებენ შენი ასაკის ყმაწვილებთან ერთად, ტანთ ჩაგაცმევენ ტლანქი ტილოს ტანსაცმელს, ლოგინად მიგიჩენენ ლელის ჩალას, რომელიც შენვე უნდა მოსჭრა მდინარისა თუ ტბის პირას. ციე წყალში გაბანავებენ ზაფხულის პაპანაქებაში და ზამთრის ყინვაში, საზრდოდ კი ძრიანან და სისხლიან შეჭამანდს მოგცემენ, გასწავლიან მუშაითობას ანუ გიმნასტიკას და სამხედრო წესრიგს; ამასთან ერთად — ცოტაოდენ მუსიკასა და ლექსთა წყობას, რამდენადაც ეს ფიზიკური ვარჯიშობისათვის და მწყობრი სიარულისათვის არი საჭირო. წელიწადში ერთხელ მთვარის ღმერთის ტაძარში წაგიყვანენ, სადაც უწყალოდ გცემენ, რათა გამოგცადონ, შეგიძლია თუ არა ხმის ამოუღებლივ ტანჯვის ატანა. მუდამ ქალიშვილებთან ერთად იქნები სწავლისა და ვარჯიშობის დროს. მდედრობითი სქესი შენ თვალში იდუმალებას დაკარგავს და შენ არ გეცოდინება არც სიყვარულის ოცნება, არც სქესობრივი ნდომის ირთოლვა.

სპარტანული აღზრდის უსაზღვრო თაყვანისმცემელი არა ვარ, მაგრამ მგონია, რომ ამ სისტემაში ბევრი რამ არი ჯანსაღი და მიმზიდველი, დასაგმობია პიროვნების ჩაყლაპვა სახელმწიფოს მიერ, დასაგმობია ბერეული ადამიანის გარდაქმნა საომარ მანქანად. მაგრამ მისაღებია ზოგიერთი მაღალი თვისებები, რომელთაც ეს აღზრდა ანვითარებს: სიმარდე, სიმამაცე, თავდაჭერილობა, სულიერი სიფხიზლე, ნებიერობის უქონლობა.

თანამედროვე ადამიანი მეტისმეტად ნებიერი გახდა, შეეჩვია უზომო ფუფუნებასა და თავდაუჭერლობას. მისი კანი ბუმბულმა და აბრეშუმმა გაანაზა და მისი სხეული ვეღარ უძლებს ჰაერისა და მზის სხივების შეხებას. ეს ერთგვარი უკანდახევაა ძველ სპარტანელებთან თუ ათინელებთან შედარებით. მზე სიცოცხლის დასაბამია. ორგანული არსება მხოლოდ იქ ისახება, სადაც მისი სხივების სითბო და სინათლე აღწევს. ადამიანის სხეულიც მზის სხივებთან ერთად გამაახლებელ და გამახალისებელ ძალას ისრუტავს. შეიძლება ისიც წარმოვიდგინოთ, რომ იდეური ცხოვრება ერთი განსაკუთრებული სახეა მსოფლიო ენერგიისა და დიდი კოსმიური ლამპრები აზრებისა და გრძნობების ელემენტებს გვიგზავნიან სხივების ტალღებთან ერთად. თუ ეს ასეა, უნდა ვეცადოთ ჩვენი სხეული, რამდენადაც შესაძლებელია, ზედმეტი ჩვრებისაგან გავასთავისუფლოთ. მაშინ ჩვენ გავეპაპუკდებით არა მარტო ფიზიკურად, არამედ სულიერადაც და მოქნილ კუნთებთან ერთად აზროვნების ნაყოფიერებასაც შევიძენთ.

ცნობილია, რომ კაცობრიობის უღრმესი იდეები პირველად იმ ქვეყნებში ჩაისახნენ, სადაც უხვი მზე ანათებდა: ეგვიპტეში, წინა აზიასა, ინდოეთში, საბერძნეთსა და სიცილიაში. შემდეგ კულტურა ჩრდილოვან და ნისლიან ქვეყნებში გადავიდა, სადაც განსაკუთრებული კომფორტია საჭირო ადამიანური ცხოვრების შესანარჩუნებლად: გაწყობილი ბინა, თბილი ტანსაცმელი, უხვი საჭმელ-სასმელი. ამ კომფორტის მოთხოვნილებამ გამოიწვია ნივთიერი კულტურის უმაღალითო აყვავება, რითაც თანამედროვე ევროპა სამართლიანად ამაყობს. მაგრამ პიროვნების შინაგანი ცხოვრება აგრე რიგად როდი გაზრდილა. ერთგვარი საფრთხეც არსებობს: უსულო საგანმა ბოლოს ცოცხალი არსება არ ჩაყლაპოს. ჩრდილოელი ადამიანი ხშირად სრულიად უმწეოდ დგას იმ უზარმაზარი ქალაქებისა, მაღაზიებისა და მანქანების ჩრდილში, რომელიც მისმა ენერგიამ შექმნა. შეიძლებელია, რომ კაცობრიობის კულტურა ხელახლა დაუბრუნდეს თავის პირველდელ კერას: სამხრეთელი ადამიანის მოთხოვნილება უფრო მარტივი და განსაზღვრულია. ეს შეიძლება ერთი მხრით მისი ნაკლი იყო, მაგრამ მეორეს მხრით ღირსებაც არი: უსულო საგნები მას ნაკლებ ჰფლობენ. რით იკვებებოდნენ ძველი ბერძნები? ზეთითა და ხილით. რა სჭიროდა ძველ ქართველს? პური და ღვინო, ცოტა ყველი და ცოტა მწვანილი. მაგრამ ბერძნებს ჰომეროსი ჰყავდათ და ალექსანდრე მაკედონელი, ხოლო ქართველებს რუსთველი და დავით აღმაშენებელი. ყოველ ერს როდი შეუძლია ასეთი შვილებით დაიკვეხოს.

თანამედროვე ევროპელები უბრუნდებიან კლასიკური აღზრდის იდეალებს, რომელიც სულისა ღა სხეულის თანაბარ განვითარებაში მდგომარეობს. დიდთავიანი და მკერდჩავარდნილი თაობა აღგილს უთმობს ახალ ადამიანებს, რომელნიც სპორტითა და მუშაითობით არიან გაკაეებულნი. ესენი ჩვეულებრივ ხნეობრივადაც უფრო მაღლა დგანან იმიტომ, რომ უფრო სასტიკნი არიან თავის თავთან და ლმობიერნი სხვების წინაშე. კლიმატური პირობების გამო ყველგან არ შეიძლება მარტივი კლასიკური წამოსასხამისა და წაღების აღდგენა. ამის წინაღმდეგ ხნე-ჩვეულებაც ამხედრდებოდა. მაგრამ ბურთაობისა, ნაოსნობისა ან ხირბილის დროს შესაძლებელიც არი და საჭიროც სხეულის ნაცვლად გატიტვლება მოძრაობათა თავისუფლების მისაღწევად. ამით მოიგებს არა მარტო ჰიგიენა, არამედ ესთეტიკაც: ერთი უმშვენიერესი სანახაობა მზის სხივებში გახვეული ვაჟკაცია.

დიდი როლი ითამაშეს გიმნასტიკურმა საზოგადოებებმა, ეგრეთწოდებულმა „შევარდნებმა“ ზოგიერთი დაბეჩავებული სლავიანური ხალხის, განსაკუთრებით ჩეხების ცხოვრებაში. ნახევარი საუკუნის წინათ ჩეხები კიდევ უფრო დაქვეითებულნი იყვნენ, ვიდრე დღეს ქართველები ვართ. დედაენა დავიწყებული ქონდა არა მარტო ინტელიგენციას, არამედ ხალხის დიდ ნაწილსაც. ისტორია მხოლოდ ორიოდე მეცნიერს ახსოვდა. თუ დღეს ჩეხები გერმანელებს ძალოვანად ეჭიშპვიან ეკონომიურსა და კულტურულ ასპარეზზე, ეს სხვათა შორის „შევარდნების“ მოქმედების შედეგიც არი. მათ შეუწყეს ხელი სამშობლოს ზნეობრივსა და ფიზიკურ გამოფხიზლებას. მაგრამ არსად არ არი მუშაითობა და სპორტი ისე განვითარებული, როგორც გერმანიასა, ინგლისსა, ჩრდილო ამერიკასა და სკანდინავიის ქვეყნებში. თითქოს ამ ქვეყნების მკვიდრნი ცდილობენ ბუნების სიძუნწე ხელოვნური საშუალებებით ინაზღაურონ. გერმანიაში არსებობს ერთ-ერთი „კავშირი სატენრირო და სასპორტო საზოგადოებათა. ამ კავშირში სამი წლის წინათ თითქმის თორმეტი ათასი ხაზოგადოება შედიოდა, რომელშიც მილიონნახევარი წევრი ირიცხებოდა. კავშირის დევიზია: „ყოველი გერმანელი გიმნასტი უნდა გახდეს, ან სპორტსმენი!“

შეიძლება დღევანდელ ქართველებს გვეუცხოოს ეს იდეალები. ჩვენ გვგონია, რომ სერთუკის გახდა, ტრიკოს ჩაცმა, ბურთის თამაში არ შეეფერება ისეთ ღრმა პოლიტიკოსებსა და სოციალურ რეფორმატორებს, როგორიც ჩვენ ვართ. ჩვენი წინაპრები ასე როდი ფიქრობდნენ. მათ უყვარდათ ფიზიკური ვარჯიშობა, რომელიც ერთგვარ გასართობსაც წარმოადგენდა და სამხედროსაც სამხედრო თუ სახელმწიფო მოღვაწეობისთვის. გაიხსენეთ, რას ითხოვს მეფე არჩილი კარგად გაზრდილი მამაკაცისაგან.

„ჩოგნის მოხვრეტა, მობანდვა, სწორი ბურთისა გამოკრა,
ბურთობის დროსა ახპარეზს პირმხიარულად გამოკრა,
ცხენის მოხტომა, უხელოდ, ომის დროს ფიცხლად გადმოკრა,
მოპაიტრობა სახმობის, ამორთმა, ხურდის ამოკრა.

ხრმლის ცემა, ლახტის თამაში, ბევრგან ბრუნება შუბისა,
საცერის წყობა, მათრახის ბილდირგა რა შეუბისა,
ისარი სხვბლი და გრძელი, ხელთ არ დადება უბისა,
ვისაც არა აქვს, უძრახვენ სხვაგან სხვას მიუუბნისა“.

როგორც ჩანს, ძველ საქართველოში მეფისწულებიც ღებულობდნენ საგანგებო ფიზიკურ აღზრდას. ამას სხვათა შორის „ვეფხისტყაოსანიც“ ამტკიცებს. როცა ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი ქაჯეთის ციხეს მიადგნენ, უკაიასკენელი ურჩევს თავის ამხანაგებს, რომ სიმაგრის აღება მის ხერხს მიანდონ:

„ჩემსა სიმცროსა გამზრდელნი საშუაითოდ მზრდიდიან,
მასწავლნეს მათნი საქმენი, მახლტუნებდიან, მწვრთნდიან:
ასრე გავიდი ხაბელსა, რომ თვალნი ვერ მომკიდიან,
ვინცა მჭვრეტდიან ყმაწვილნი, იგიცა ინატრიდიან...“

არა მარტო კულტურული აღორძინებისა და ძლიერების ხანაში, არამედ შემდეგაც დიდ ყურადღებას აქცევდნენ ქართველები ფიზიკურ ვარჯიშობას და თამაშობას. ამას უცხოელი მოგზაურებიც ადასტურებენ. მეჩვიდმეტე საუკუნეში ჩვენს სამშობლოში მრავლად მოდიოდნენ იტალიელები, მისიონერი ბერები, ერთმა მათგანმა, არქანჯელო ლამბერტიმ, დაგვიტოვა მეტისმეტად საინტერესო აღწერა მაშინდელი სამეგრელოს ყოფაცხოვრებისა და პოლიტიკური ვითარებისა, ხოლო მეორემ, ქრისტეფორე კასტელიმ — მთელი ალბომი საკუთარი ხელით დახატული პორტრეტებისა და საჟანრო სურათებისა. ამ წყაროების შემწეობით ნათლად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ჩვენი ზოგიერთი ძველებური ვარჯიშობა.

არქანჯელო ლამბერტი ამბობს, რომ სამეგრელოში განსაკუთრებით ორი ეროვნული ვარჯიშობაა გავრცელებული — ბურთაობა და ნიმანში შვილდისრის სროლა. პირველი წარმოებს ამრიგად: „ერთ-ერთ ფართო მინდორში, სადაც ცხენი თავისუფლად გაჭენდება, ათიოდე ცხენოსანი შეიკრიბება... თვითეული მათგანს ხელში უჭირავს ჩოგანი, რომლის ტარს ოთხი ან ხუთი მტკაველი სიგრძე აქვს. ჩოგანი ამოქსოვილია საბელითო, როგორც ჩვენში იციან, ხოლო ერთის მხრით ხის პირი აქვს და სრულიად გაშლილია, რათა ამ მხრით ბურთის მიწაზე აღება უფრო ადვილი იყოს. თამაშობა შემდეგში მდგომარეობს: ვარჯიშობის დამწყები ბურთს ჩოგანზე დაიდებს და ცხენს გაჭენებს. სხვებიც დაედევნებიან ერთიმეორეს მიყოლებით ჩოგნებით აღჭურვილნი, პირველი მოთამაშე ბურთს თავის წინ მაღლა ააგდებს, ისე რომ მიუსწროს როცა ძირს დავარდნილი ბურთი ხელმეორედ ასტება და ჩოგნით უკან გაღაისროლოს. თვითეული მოთამაშე ამ ბურთისაკენ მიაჭენებს ცხენს და ცდილობს სხვებზე ადრე დაიჭიროს ჩოგნით ცხენიდან ჩამოუსტომლად. ბურთის დამჭერი სათავეში მოექცევა დანარჩენ მოთამაშეებს და იმნაირადვე იმოქმედებს, ოოგორც პირველად მოქმედებდა. მერმე სხვები ცდილობენ ბურთის დაჭერას და ამრიგად ატარებენ დროს საღამამდე. ეს თამაშობა მეტად სასიამოვნო ვარჯიშობაა და დიდად გასართობი“.

ეს აღწერა კარგად უდგება კასტელის მიერ დახატულ სურათს, რომელსაც ქვეშ „ქართველ ცხენოსანთა ბურთის თამაში“ აწერია.

მეორე ვარჯიშობას არქანჯელო ლამბერტი შემდეგი სიტყვებით ახასიათებს: „შეკრავენ ორ ძლიერ გრძელ სარს ანძის მსგავსად და დასასობენ ფართო ნოდასზე. შუვითა წვერზე პატარა რგვალ ფიცარს ჩიამაგრებენ, დაახლოებით ოთხი თითის სიგანისას. ასეთ ყაბახს საძვერელოს დიდებულნი თავადები ჩვეულებრივ თავიანთ ეზოში აღმართავენ და როცა თამაშობა მოესურვებათ, ხესენებულ ფიცარზე ვერცხლის თასს დასდებენ. შემდეგ მოიწვევენ შვილდ-ისრით შეიარაღებულ ცხენოსნებს. ესენი ერთიმეორის მიყოლებით ყაბახისკენ გაჭენებენ ცხენებს. როცა ცხენოსანი ყაბახს მიუახლოვდება, შვილდ-ისარს მომართავს და თასს დაუმიზნებს ცხენის შეუჩერებლად, თასი იმისია, ვინც ძირს ჩამოაგდებს“.

ამ აღწერის ილუსტრაციას წარმოადგენს მეორე სურათი კასტელისა, რომელსაც „ცხენოსანთა თამაში“ ჰქვია. სხვათა შორის თვით პატრი კასტელის თაეს ნახატის ქვეშ წარწერა მოუთავსებია: „ამ თამაშში საჭიროა დიდი სიმარდე და ისეთი დამიზნება, რომ მეტ-ნაკლები არ მოვიდეს; წინააღმდეგ შემთხვევაში მოთამაშე მყისვე გაჭენებული ცხენიდან გადმოვარდება“.

კასტელის სურათებზე სხვათა შორის კარგად ჩანს ერთი მეტისმეტად დამახასიათებელი მოვლენა: მოთამაშეთა ტანსაცმელის კლასიკური სიმარტივე. ზოგიერთი მონაწილის სხეული თითქმის სანახევროდ გატიტვლებულია, შეიძლება იტალიელ პატრს ამ მხრივ ოდნავ გადაეჭარბებინოს დანახული სინამდვილე; ყოველ შემთხვევაში უეჭველია, რომ ეს სურათები ფანტაზიის ნაყოფი არ არი და საერთოდ დაკვირვებაზეა დაფუძნებული. უცილობელია ისიც, რომ ჩვენს წინაპრებს მეჩვიდმეტე საუკუნეშიაც კი შერჩენილი ჰქონიათ ჯანსაღი სხეულის გრძნობა. ამას სხვა წყაროებიც ადასტურებენ.

შემდეგ ეს გრძნობა მიჩლუნგდა. ქართველობა თანდათან მოდუნდა ფიზიკურად. დამახასიათებელია, რომ ბოლოს მას მოევლინა მეფე, რომელსაც ზაქის ჭამა უყვარდა და ნადირობა სძაგდა, რომელიც ყოველ დღეს ცისკრის მოსმენით იწყებდა და სერობით ათავებდა. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში რომანტიკოსი მგოსანი სევდით უცქეროდა დაცარიელებულ სავარჯიშო ასპარეზს:

„მიხედე ამა ვრცელსა ვაკეს ქვაყრილსა ბნელად,
კვლავ ასპარეზსა, სად ჰქონიათ ტაიჭთა სრბოლა,
ჩოგნის ტაცება, ჭაბუკ-მხედართ გამოსაცდელად,
შუბთა ტრიალი, ჯირითთ ტყორცნა და ისართ სროლა“.

მეოცე საუკუნის ქართველობა კიდევ უფრო დაბლა დგას ფიზიკური აღზრდისა და განვითარების მხრივ. საკუთარი გულგრილობისა და უცხო კულტურის გავლენის ქვეშ გაქრა ბევრი რამ, რასაც ამდენი მრავალფეროვანი ფორმა შეექმნდა ყოველდღიურ ცხოვრებაში: ყენერია, ბურთაობა, ჯირითი, კრივი და სხვ... მათი ადგილი უაზრო ლოტომ, ნარდმა და ქაღალდმა დაიჭირა. რით ჩამოუვარდება ჩვენი კრივი ინგლისურ ბოქსს ან ჩვენი ჩოგნის შემოკვრა იქაურ ტენისს? თანამედროვე ქართველობაში თანდათან ისპობა ძველად ქებული ახოვანობა, ხილაზათე და ჯანსაღობა. ეს ძლიერ დამაფიქრებელი მოვლენაა: საერთაშორისო შეჯიბრებაში ფიზიკური ძალა დიდ შანსს იძლევა საბოლოო გამარჯვებისათ-

(დასასრული მე-4 გვ.).

ფიზიკური აღზრდისათვის

დასასრული

ვის. ვისაც ეს ძალა არ შესწევს, მარცხდება სხვა უპირატესობების მიუხედავად. ისტორიკოსები ამბობენ, რომ ჰოლიტიკური დაცემის ხანაში რომაელი ჯარისკაცები ვეღარ უძლებდნენ ძველებური მძიმე მუზარადების ტარებას, მთავრობა იძულებული იყო უფრო მჩატე თავსასურავი შემოეღო. ამ ცვლილებას სიმბოლოური მნიშვნელობა ჰქონდა: შემოსეულმა გერმანელმა ბარბაროსებმა ჩქარა დაამარცხეს რომაული ლეგიონები და იმპერია გაანადგურეს. გერმანელი ურდოები კულტურულად ბევრით დაბლა იდგნენ რომაელებზე, მაგრამ ფიზიკური ძალით სჭარბობდნენ.

შეგვიძლია თუ არა დღეს ჩვენც ძველებური წვრილთვალა მუზარადი ვატაროთ? მართალია, ასეთი ტანსაცმელი აღარ გვჭირია, მაგრამ კიდეც რომ გვჭიროდეს, მის სიმძიმეს ვერ გაუძლებდით: მეტისმეტად დაძაბუნებულნი ვართ ფიზიკურად. ძველებური ქართული ვარჯიშობისა და მუშაითობის აღდგენა ერთი უდიდესი ეროვნული ვალდებულებაა. მხოლოდ მათი ხასიათი უნდა შეუფარდდეს დროის მოთხოვნილებას. ძველ საქართველოში სპორტს მხოლოდ არისტოკრატია მისდევდა. დღეს, უწინარეს ყოვლისა, დემოკრატიასა და ინტელიგენციას ესაჭიროება ფიზიკური გამაგრება და განსვლა: განსაკუთრებით მუშებსა, წვრილ ხელოსნებსა და მოსამსახურეებს, რომელნიც ხშირად მთელ დღეს უპაერო და უსინათლო ქარხნებსა, სარდაფებსა და სახელოსნოებში ატარებენ. მათთვის სპორტი სიცოცხლის ხანგრძლივობის საკითხია. ევროპაში უმეტეს ნაწილად ქალაქის დემოკრატია იძლევა საუკეთესო სპორტსმენებსა და გიმნასტებს.

ევროპელი ერები ერთმანეთში სესხულობენ სპორტისა და გიმნასტიკის ფორმებს. ჩვენ სესხება არ გვესაჭიროება. ჩვენ მოგვეპოვება მთელი განძი ეროვნულ ვარჯიშობათა და თამაშობათა, რომელნიც დავიწყებულნი არიან და აღდგენას ელიან. მათი აღდგენა ახალ ფერადს შეიტანს ჩვენს ეროვნულ კულტურაში, ჩვენს სხეულს კი ადრინდელ სილამაზესა და ჯანსაღობას დაუბრუნებს.

პ. კარიჭაშვილი

33 წლის ასაკში მოულოდნელად გარდაიცვალა სპორტის ოსტატი თავისუფალ ჭიდაობაში პეტრე (გოგი) შალვას ძე კარიჭაშვილი.

მისი სპორტული მოღვაწეობა 1954 წელს დაიწყო. იგი იყო საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი და „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს პირველობებში გამარჯვებული. 1957 წელს მონაწილეობა მიიღო ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მოსკოვის მსოფლიო ფესტივალში და ვერცხლის მედალი დაიმსახურა. ამ და სხვა წარმატებებისთვის სსრ კავშირის სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭა.

პეტრე კარიჭაშვილი კარგად უხამებდა ერომანეთს სწავლასა და სპორტს. 1957 წელს მან წარჩინებით დაამთავრა გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი, მერე კი სწავლა განაგრძო თბილისის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. სწავლის დამთავრების შემდეგ ჯერ ხაშურის რკინიგზის საგამომძიებლო განყოფილებაში მუშაობდა, შემდგომ კი გორის რაიონის საგამომძიებლო ქვეგანყოფილებაში.

გულისხმიერი და კეთილი ადამიანი მუდამ მხარში ედგა ახალგაზრდა სპორტსმენებს, მეგობრებს და ამიტომაც განსაკუთრებით მძიმეა ეს დანაკლისი.

საქართველოს კლასიკური და თავისუფალი ჭიდაობის ფედერაცია.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ბრალდება მოუხსნეს

ლონდონი, 20 აგვისტო. ბოგოტის ერთ-ერთ საიუველირო მაღაზიაში ოქროს სამაჯურის მოპარვის ბრალდება ინგლისის ნაკრების კაპიტანს მურს მოუხსნეს. როგორც კოლუმბიის დედაქალაქიდან ფრანს პრესის საგენტოს კორესპონდენტი იტყობინება, ადგილობრივმა პოლიციამ დაადგინა, რომ მური მაღაზიის პატრონისა და ორი ცრუმოწმის შეთქმულების მსხვერპლი გახდა.

გოგი მური: „მესროლეთ, ოღონდ პირდაპირ გულში“

იტალიელი ჟურნალისტის ჯანი რანიერის ინტერვიუ მურთან

ლონდონის სევდის მომგვრელ, მაგრამ მუდამ ხალხმრავალ ვესტ ჰემის რაიონში, სადაც ცემენტისა და შუშის გიგანტური შენობების ალყაში მომწყვდეული პატარა სახლები შველას ითხოვენ, ბობი მურის ორი მაღაზია სარფიანად ვაჭრობს. ეს მაღაზიები ეკუთვნის ინგლისელთათვის სახელგანთქმულ ფეხბურთელს, უშიშარ რაინდსა და უსაყვედურო კაცს, ხოლო კოლუმბიელთათვის — ძვირფასი სამაჯურის გამტაცებელს. ცნობილი მემანეკენე ქალის, ქალბატონ მურის სურვილისამებრ გასხსნილი მაღაზიები თვალისმომჭრელი, ბრჭყვიალა ვიტრინებით „ვესტ ჰემის“ პირქუშ სტადიონს უყურებენ. ბობიმ უკვე დაამთავრა დასვენება და დაიწყო ვარჯიში — ინგლისის ჩემპიონატი ხომ უკვე კარზეა მომდგარი. ვარჯიშის შემდეგ ჩვენ ერთად გამოვედით სტადიონიდან და უმალვე მინიკაბებში გამოწყობილი ქალიშვილების გარემოცვაში მოვხვდით. კარგა ხანს ვიცადე, სანამ ბობი ავტოგრაფებს არიგებდა. ბოლოს, როგორც იქნა, თავი დაიხსნა.

„საუბარს შევძლებთ, მისტერ მურ?“

მურმა ხელები გაასავსავა და ღიმილით მიპასუხა: „კარგი, მესროლეთ, ოღონდ პირდაპირ გულში“.

„როგორ გგონიათ, ძვირფას სამაჯურთან დაკავშირებული ამბავი უკვე მოთავდა?“

„როცა ადამიანი სახელგანთქმულია, ამბავი არასოდეს მთავრდება. საჭიროა მოთმინება. ყოველთვის, როცა ფეხბურთის რომელიმე გულშემატკივარი ბრწყინვალე საფეხბურთო მატჩს გამახსენებს, აქვე აღმოჩნდება ხოლმე ვინმე კოლუმბიელი. იგი მზადაა ბოგოტაში მომხდარი ამბავი გამახსენოს“.

„თქვენი მეგობრები რაღას ამბობენ?“

„მე ვერც ერთხელ ვერ შევძელი ამის თაობაზე მათთან სერიოზული ლაპარაკი. ეს ყოველთვის სიცილით მთავრდება ხოლმე“.

„თქვენი ცოლი რა აზრისაა?“

„შეიძლება უცნაურადაც მოგეჩვენოთ, მაგრამ ჩვენ ამ ინციდენტზე ერთხელაც არ გვისაუბრია, თუმცა მიჩვეული ვართ ერთმანეთს ყველაფერი გავუზიაროთ. უბრალოდ, ამ შემთხვევაზე არაფერია სალაპარაკო“.

„არ გეშინიათ, რომ თქვენ, როგორც დამნაშავეს, კოლუმბიის ხელისუფლებს გადგცემენ?“.

„მე უკვე მომხდარისა მეშინია და არა იმისა, მერე რა მოხდება. უბრალოდ, ვერ წარმომიდგენია, რომ შეიძლება უარესი მოხდეს. საქვეყნოდ გამომაჭენეს, ციხეშიც მიკრეს თავი, კომფორტაბელურ საპყრობილეში, მაგრამ მაინც ციხეში. გაზეთებსაც საწერი მიეცათ“.

სურათზე: ბ. მური.

„კვლავ მიგაჩნიათ, რომ ეს მოქმედება ინგლისის გუნდის წინააღმდეგ იყო მიმართული?“

„ეს ჩემთვის მეტად დიდი პატივი იქნებოდა. თუმცა, გულწრფელად გეტყვით: შეგნებული მაქვს ჩემი მნიშვნელოვანი როლი გუნდში და შეიძლება ვყოფილიყავი კიდეც მტრებისთვის საუკეთესო სამიზნე. მაგრამ ყველაზე ცუდია ის, რომ რიმეს თასისთვის ბრძოლა დამთავრებულია და ეს ამბავი მაინც გრძელდება. ახლა იძულებული ვარ ვიფიქრო, რომ ეს აქცია მიმართული იყო საწყალი შურის წინააღმდეგ ადამიანების ჯგუფის მიერ, რომელმაც ისეთნაირად შეტოპა, რომ ახლა უკანდასახევ გზას ვეღარ პოულობს“.

„შეძლებთ ისევე მშვიდად თამაშს?“

„ვშიშობდი, რომ ამას ვერ შევძლებდი, მაგრამ ახლა ვგრძნობ, რომ შეუძლებელი არაფერია. მინდა დავაზუსტო: ჩემი პრობლემა „სულიერს“ კი არ მიეკუთვნება, არამედ ფიზიკურს. მეშინია, რომ უბრალოდ ხელს შემიშლიან ფიზიკურად მომზადებაში და ბევრ დროსაც წაგართმევენ.“

„ინგლისი ბრაზილიას რომ შეხვედროდა ფინალში, როგორ წარიმართებოდა მატჩი?“

„საკითხავია, რომელი ინგლისი. თუ ბობი მურს სიმშვიდეს არ დაურღვევდნენ და მისი ამხანაგებიც დამშვიდებით იქნებოდნენ, ჩვენ იქნებ მოგვგოგო კიდეც“.

„პირადად თქვენ რითი ხსნით ინგლისელთა საფეხბურთო თვითდაჯერებას?“

„მრავალი წლის მანძილზე მსოფლიო ფეხბურთის სარბიელზე გაბატონებით, რიმეს თასის გათამაშებაში გამარჯვებით, პრესტიჟით, რომელიც ყველამ აღიარა. ეს თვით ფაქტებით აიხსნება“.

„მოიგებთ მომავალ ჩემპიონატს?“

„თუ შეიძლება, შეცვალეთ კითხვა. შემეკითხეთ, მოვიპარავ თუ არა კიდევ სამაჯურს?“

„ლონდონში ბოგოტის მაღაზიის იმ ნოქარ ქალს რომ შეხვდეთ?..“

„მას ჩემი მაღაზიების დასათვალიერებლად წავიყვანდი, გავაცნობდი მეუღლეს, თანაგუნდელებს, მეგობრებს. ბოლოს და ბოლოს იგი მიხვდებოდა, რომ ბედნიერებისთვის სრულიადაც არ მჭირდებოდა სამაჯურის გატაცება“.

„თქვენ ამას იმიტომ ამბობთ, რომ ზას არასოდეს შეხვდებით?“

„ამას ნუ ამბობთ. ის, რაც ბოგოტაში მოხდა, ხომ სასწაულივით იყო...“

„გმადლობთ, მისტერ მურ. ჰო, მართლა: ბოგოტაში მომხდარი ამბის შემდეგ გაქვთ თუ არა ბარონეტის ტიტულის მიღების შანსი?“

„ისეთივე, როგორიცა აქვს ინგლისს მეორედ მოიპოვოს მსოფლიოს ჩემპიონობა, მაგრამ მე არ ვფიქრობ ტიტულსა და ორდენებზე. თუ, მაგალითად, კოლუმბიის მთავრობა შემომთავაზებდა შემოსავლის ნაწილს იმ რეკლამიდან, რომელიც მე გავუკეთე კოლუმბიის საიუველირო მაღაზიებს, მე, ცხადია, უარს ვიტყოდი“.

„და ბოლოს, ერთი კითხვა, რომელიც არც ფეხბურთს ეხება და არც სამაჯურს. როგორ ფიქრობთ, მინიკაბები კვლავ იბატონებს, თუ ჩქარა ვეღარ ვიხილავთ შიშველ ბარძაყებს?“

„მინი და მაქსიკაბებს შორის მძიმე ბრძოლაა, მაგრამ მაქსიკაბები პროგრესის გზაზე არიან. ვესტ ჰემში მათ უკვე გაიმარჯვეს“.

„პაეზე სერა“. 11 აგვისტო.

სამაჯური

ლონდონი, 21 აგვისტო. როგორც რეიტერის საგენტოს კორესპონდენტი იუწყება, უახლოეს დღეებში ინგლისის ფეხბურთელთა ნაკრების კაპიტანი ბობი მური ლონდონში გამოცხადდება კოლუმბიის საელჩოში, რათა კვლავ მისცეს ჩვენება ოქროს სამაჯურის მოპარვის გახმაურებულ საქმეზე, ამჯერად მური კითხვებზე პასუხს გასცემს არა როგორც ბრალდებული, არამედ როგორც ბრალდების მოწმე.

როგორ მოხდა ასეთი მეტამორფოზა?

აი, ეს ისტორია. წლეულს მაისში, ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის დაწყების წინ, ინგლისის ნაკრები კოლუმბიის დედაქალაქ ბოგოტაში ატარებდა საკონტროლო მატჩებს. იმ დღეს, როცა მთელი გუნდი მექსიკას გაეშგზავრა მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობისთვის, ნაკრების კაპიტანი დააკავეს როგორც ...ქურდი. ვინმე კომივოიაჟერი სუარესი ამტკიცებდა, რომ მან საიუველირო მაღაზიის „მწვანე ალის“ ფანჯრიდან დაინახა, როგორ ჩაიდო ჯიბეში მურმა რაღაც ბრჭყვიალა ნივთი. ნოქარმა ქალმა პადილიამ კი განაცხადა, რომ მურმა ინგლისის ნაკრების მოთამაშესთან ბობი ჩარლტონთან ერთად ვიტრინიდან აიღო სამაჯური და ჩაიჯიბა.

„მწვანე ალის“ პატრონმა როხასმა სასამართლოში უჩივლა ცნობილ ფეხბურთელს, თანაც არა მარტო სამაჯურის ღირებულების (1200 დოლარი) ანაზღაურება მოითხოვა, არამედ ათჯერ მეტი თანხა მორალური კომპენსაციის სახით. სასამართლომ მურს მექსიკაში გამგზავრების ნება დართო, მაგრამ „საქმე“ არ დახურა.

და აი, ამ დღეებში კოლუმბიის კრიმინალურმა პოლიციამ აღმოაჩინა „საინტერესო“ საბუთი: კონტრაქტი როხასსა და სუარესს შორის, რომლის ძალითაც სუარესმა ცრუმოწმეობისთვის 250 დოლარი მიიღო. ეს გარიგება მოხდა... ნოქარი ქალის პადილიას თანდასწრებით, მისივე ბინაში.

პოლიციის შეფმა, კაპიტანმა რამირესმა ჟურნალისტებს უთხრა, რომ სამაჯურს დუქანი „არ დაუტოვებია“ და „ბრალმდებელთა“ სამეული პასუხს აგებს სასამართლოში ცრუმოწმეობისა და ცილისწამებისთვის.

ძნელია იმის თქმა, როგორ დაისჯებიან „მარჯვე“ კომერსანტები. ამჟამად მთავარ ყურადღებას ამახვილებენ საქმის ფინანსურ მხარეზე, მაგრამ არსებობს „მურის საქმის“ მეორე ასპექტი — ფსიქოლოგიური. ბევრმა აღნიშნა, რომ შეთქმულების მიზანი მარტო ის როდი იყო, რომ მდიდარი პროფესიონალი ფეხბურთელისგან ფული გამოეძალათ.

ჩემპიონატის დაწყების წინ სპეციალისტები ძალიან აქებდნენ ინგლისის ნაკრების დაცვას და მას მსოფლიოში ყველაზე მტკიცედ მიიჩნევდნენ. ამ დაცვის მთავარ ძალას წარმოადგენდა ნაკრების კაპიტანი, ცენტრალური მცველი ბობი მური. როგორც ცნობილია, ლათინური ამერიკის კონტინენტის ფეხბურთის მოყვარულნი ერთობ ანტაგონისტურად იყვნენ განწყობილი ევროპული ფეხბურთისადმი: ეტყობა, ზოგიერთებს იმედი ჰქონდათ, რომ სასამართლო პროცესის საშუალებით ცნობილ ფეხბურთელსა და მის კოლეგებს წონასწორობიდან გამოიყვანდნენ.

ვ. კუკუშკინი.

(საკდესის კორ.).

საქართველოს მთამსვლელთა ფედერაცია და ალ. ჯაფარიძის სახელობის ალპური კლუბი იუწყებიან

ლევან სერგოს ძე აკოფოვის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.



გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი-8, ლენინის ქ. № 14, დეკეულებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 99 56-14, რედაქტორის მოადგილე — 93-97-51, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, მასობრივ-ფიზკულტურული და მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 93-97-55, სპორტული განყოფილება — 99 56-47, 93-97-53, ფეხბურთის განყოფილება — 93-97-56, ჭადრაკის განყოფილება — 93-97-57, წერილების განყოფილება — 93 97-54, მემანქანეთა ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია — 93-97-58, გამომშვები — 93 93-81.

წლეულს — უველაზე სწრაფად საგჭოთა კაეშირში:

ვ. საპეია — 10,2

● ●

თუჯის „გურთი“ — 18,54 და 18,18 მეტრზე

მაღალი შედეგებით

მოსკოვი, 20 აგვისტო. „ლოკომოტივის“ სტადიონზე დაიწყო დედაქალაქის მძლეოსანთა ჩემპიონატი, რომელიც მაღალი შედეგებით დამშვენდა. 100-მეტრიან დისტანციაზე ყველას აჯობა ვ. საპეიამ, რომელმაც წლეულს საბჭოთა ქვეყანაში ყველაზე სწრაფად, 10,2 წამში გაირბინა ეს მანძილი. გამარჯვებულს ერთი მეათედი წამით ჩამორჩნენ ლ. მიკიშევი და ა. ლებედევი. ქალთა შორის ამ მანძილზე იმარჯვა გ. მიტროხინამ — 11,6.

ბირთვის კვრის სექტორში ორმა მოასპარეზემ ექსტრა-კლასის შედეგებს მიაღწია: ა. ივანოვამ თუჯის „ბურთი“ 18,54 მეტრზე გაგზავნა, ხოლო ი. სოლონცოვამ — 18,18 მეტრზე.

სიმაღლეზე მხტომელ ქალთა შორის პირველი იყო ნ. ედანი — 174 სმ.

ღიდეროგენ მოსკოველები

შახტი, 19 აგვისტო. აქ მიმდინარე ნორჩ ფეხბურთელთა საკავშირო შეჯიბრებაში „სიჭაბუკის თასზე“ დაწინაურდა მოსკოვის ნაკრები, რომელმაც სომხეთის (1:0), ყირგიზეთისა (4:0) და რსფსრ-ს (2:1) გუნდების დამარცხების შემდეგ 6 ქულა დააგროვა. თითო ქულით ნაკლები აქვთ საქართველოსა და უკრაინის კოლექტივებს.